ცნობის ფურცელი

№ 2009 | სამშაბათი, 10 დეკემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2009

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

წარმოდგენა 22. ტელეფონი 617

◆ საბენეფისო წარმოდგენა ◆

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1902 წელს

{ ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ }

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ბნი **ტასო აბაშიძის** და ბ-ნი **ი. კარგარეთლის** მონაწილეობით

I

მუზმუზელა

(ტარტიუფი)

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტი, 1 მოქმედ. მუზიკა ოფენბახისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

ორკესტრი **ნ. ზ. ქართველიშვილის** ლოტბარობით.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დაიწყება საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„გრიგალი"**, **„ხიმე-ხისამრი"** **„აწინდელი ოჯახი"** და სხ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზედ ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში;
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902/3 წლისა;
3) სარევიზიო კომიის მოხსენება;
4) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
6) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
7) მოხსენება დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ;
8) მოხსენება დასის მთელის წლით შენახვისა.
9) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრებისა. (4—3)

საკონცერტო დარბაზში

არტისტიულ საზოგადოებისა

21 დეკემბერს

გაიმართება **„ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების"** სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბ-ნნი ნიკოლაევი (პიანისტი), ბ. პალივკა (ვიოლონჩელი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბ. ბროჯი-მუტინი (მომღერალი); ქ-ნნი ბაბაევა (მომღერალი), ბბ. აკაკი, ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცების) ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

კონცერტის შემდეგ გაიმართება

ცეკვა

ევროპიული და ქართული.

ბილეთები იყიდება „ქართ. შ. წ.-კითხვის საზოგადოებაში", (თავად-აზნაურთა

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ჩვენს დედებს

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი ხუთი შაური. (5—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. ყულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოთი.—საშარდე (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. პ. ბარხუდაროვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურნ. გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სიგინაშვილისა, **№ 21.** (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22**, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, **№ 38.** (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით

საზღვარ-გარედ

გერმანია. მხცოვანი მომზენი არ დაკმაყოფილდა იმითი, რომ თავისუფალ მოაზრეთა კრებას დაესწრო და სასტიკად და მკაცრად გაჰკიცხა მთავრობა და კონსერვატორები. ეხლა წერილიც გამოაქვეყნა ერთ გაზეთში, სადაც იგი უფრო მეტის სიმკაცრით ლაპარაკობს მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკაზე და უფრო მეტის რწმენით თხოულობს ყველა ნამდვილ ოპოზიციონურ პარტიების შეერთებას მთავრობის წინააღმდეგ. წერილის სათაურია—„ერთად ერთი გზა ხსნისა" და მიმართულია იმ „ლიბერალებისადმი, რომელნიც კიდევ ღირსი არიან ამ სახელ-წოდებისა".

„კონსტიტუციის მოსპობის საქმე უფრო და უფრო მიდის წინ. უსინიდისო ხრიკების საშუალებით კონსერვატორებმა მეტად დააჩქარეს ისეთ კანონ-პროექტის განხილვა, რომელსაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს, რომელიც ღრმა გავლენას იქონიებს როგორც მცხოვრებთა მთელ კლასების ცხოვრებაზე, ისე კერძო პირების ბედზედაც. ესეც არ იკმარეს—ლაპარაკის უფლება გერმანიის რეიხსტაგში დაუქვემდებარეს თავმჯდომარის თვით ნებობას, ე. ი. სრულებით მოსპეს ეს უფლება. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რა მოგველის.

მოსალოდნელ უბედურებასთან საბრძოლველად მხოლოდ ერთი საშუალებაა: მტკიცე შეერთება, კოალიცია ყველა ნამდვილ პროგრესიულ პარტიებისა, რომელნიც არ შესულან ეხლანდელ უსინიდისო უმრავლესობაში,—რასაკვირველია, იმათ გარდა, ვისაც არ შეურცხვენია სიტყვა „ლიბერალისმი" და „ნაცია" (ნაციონალ-ლიბერალები). საჭიროა ბოლო მოეღოს იმ უსინიდისო და ტყუილ არაკს, ვითომ ერი იყოფოდეს „წესის" და „რევოლიუციის" პარტიებად და ვითომც ყოველ მოქალაქის პოლიტიკური მოვალეობა იყოს ზურგი შეაქციოს „საშიშ" სოციალ-დემოკრატიას და მუდამ იმის ცდაში იყოს, რომ მოსპოს იგი.

იმ ბნელ და გაუვალ გზიდან გამოსასვლელად, სადაც შეგვრეკა ჩვენ ეხლანდელ რეიხსტაგის რეაქციონურმა უმრავლესობამ, მხოლოდ ერთი საშუალებაა—ნამდვილ ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატიის ერთობა.

მე სოციალ-დემოკრატი არასოდეს არ ვყოფილვარ და არასოდეს არც ვიქნები, მაგრამ უნდა გამოტეხით ვსთქვა, რომ ეხლა გერმანიაში სოციალ-დემოკრატია ერთად-ერთი დიდი პარტიაა, რომელსაც უფლება აქვს პოლიტიკურ პრესტიჟზე (გავლენა-სახელზე). ტალანტზე და ნიჭზე ლაპარაკიც მეტია: ვინ არ იცის გერმანიაში, რომ ბებელის ჭკუა რომ ელბის მხრის თორმეტ ბარონს გაუყონ, ყველა პირველ-ხარისხოვანი მოღვაწე იქნებოდა თავის წრეში".

უახლოესი მიზანი ერთი აქვს ლიბერალებსა და სოციალ დემოკრატებსო და აუცილებელი საჭიროებაა ორივე მხარემ შეიგნოს ეს ჭეშმარიტებაო, ათავებს მომზენი თავისს წერილს.

კომენტარიები არ საჭიროა გერმანიის შესანიშნავ მეცნიერის წერილს.

ინგლისი. ეხლანდელი კონსერვატიული სამინისტრო, ირლანდიის მემამულეების ზედგავლენით, იმ აზრს ადგა, რომ ირლანდიელ გლეხების მოძრაობა „რევოლიუციონერების" და აგიტატორების საქმე იყო და არა ნამდვილ გაჭირვებით გამოწვეული. ამიტომ იყო, რომ იგი სასტიკ ღონისძიებით, ტერორით სცდილობდა გლეხების მოძრაობის მოსპობას. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ პოლიციისა და ჟანდარმების საშუალებით საქმეს არაფერი ეშველება. ინგლისი სხვა სახელტუდნენ და შემდეგ ეცადონ მის გაწორებას. ეხლაც ეგრე მოხდა: რაკი მთავრობა დარწმუნდა, რომ მთელი ირლანდია თხოულობს ნამდვილ აგრარულ რეფორმას, დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის შესწავლას, რომ ახლო მომავალში შესაფერი პროექტი წარმოუდგინოს პალატას.

მანამდე უნდა მოხდეს ირლანდიაში მოლაპარაკება მემამულეთა და გლეხებ შორის. ორივე მხარე თანახმაა, რომ არსებული ფორმა მიწათ-მფლობელობისა ყოვლად უვარგისია და რომ მიწა იმის ხელში უნდა გადავიდეს, ვინც მას ამუშავებს. გარდა ამისა, საჭირო აღარ იქნება ილაპარაკონ მიწის იძულებით გაყიდვაზე, რადგან მემამულეთ ისევე სურთ მოიშორონ მიწა თავიდან, როგორც გლეხებს მისი შეძენა. მაგრამ დიდ სიძნელეს წარმოადგენს საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს მემამულეთაგან მიწის გამოყიდვა. მემამულეების სურვილია, რომ პირდაპირ გლეხებთან დაიჭირონ საქმე; მხოლოდ იმასაც ამბობენ, რომ მიწის გამოსასყიდათ დადებული გადასახადი არ იქნება იმაზე მეტი, რასაც გლეხები წინად წლიურად იხდიდნენ იჯარაში. გლეხები კი თხოულობენ, რომ ეს გადასახადი უდრიდეს იმ იჯარას, რომელსაც საადგილ-მამულო კომისია ნიშნავს (ირლანდიაში კანონით მიწის იჯარის რაოდენობას მემამულე როდი ნიშნავს, არამედ საგანგებო საადგილ-მამულო კომისია); საადგილ-მამულო კომისიამ კი 340,000 შემთხვევაში დაუკლო წინანდელ იჯარას 20% ან ერთი მეხუთედი და 80,000 შემთხვევაში კიდევ მეტიც. ჩვენ ისე ძალიან გვინდა მიწის საკუთრებად შეძენაო, ამბობენ გლეხები, რომ თუ პირდაპირ ლენდლორდებთან გვექნა საქმე, დიდ ფულს გამოგვტყუებენო. ამიტომ მიწის გამოსასყიდ ფულის რაოდენობის დანიშვნა ლენდ ლორდების საქმე ნუ იქნებაო.

მეორე ძნელი საკითხი საქმის ფინანსიური მხარეა; საიდან იშოვონ მიწის გამოსასყიდი ფული? მემამულენიც და გლეხებიც იმის მსურველნი არიან, რომ ხაზინა დაეხმაროს მათ ამ საქმეში.

სიძნელე ბევრი არისო, ამბობს აგრარულ რეფორმის მხურვალე მომხრე როსელი, მაგრამ არც ერთი არ არის ისეთი, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელი იყოსო. „გაიხსენეთ მთელი საუკუნეები სასოწარკვეთილებისა და ტანჯვისა; გაიხსენეთ შეურიგებელი მტრობა, რომელიც ხშირად ავკაცობის ხასიათს იღებდა! და ბოლოს ორივე მხრის წარმომადგენელნი ერთად იკრიბებიან სათათბიროდ. დუბლინში ბევრი მნიშვნელოვანი კრება ყოფილა, მაგრამ ის, რომელიც 1903 წლის დასაწყისში უნდა მოხდეს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია".

ირლანდიის ეროვნული პრესა ამბობს, რომ ეხლა განზრახულ აგრარულ რეფორმის გამო ჰომრულის საქმე დროებით გადადებული იქნებაო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მიწის გამოყიდვა არა თუ არ მოსპობს ირლანდიის თვითმართველობის კითხვას, პირიქით, გააძლიერებს კიდეც, როგორც 1898 წლის საერობო თვითმართველობის კანონმა გააძლიერა. „და ადვილად შესაძლებელი არისო, ამბობს „რუს. ვედ."-ის კორესპონდენტი, კონსერვატიული სამინისტრო იძულებული იქნება წარუდგინოს პალატას ირლანდიის ჰომრულის ბილი. ვისაც პარადოქსალურად ეჩვენება ეს მოსაზრება, შემდეგ ფაქტს გავახსენებ: ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში ლორდ სოლსბერი ამტკიცებდა, რომ მუნიციპალური (ქალაქების) თვითმართველობა ირლანდიაში ჰომრულზე უფრო საშიში არისო. არ გასულა ექვსი წელიწადი და ეს „საშიში" რეფორმა განახორციელა თვით სოლსბერის სამინისტრომ"

ერთობ გაჭირვებულია. მუშების წარმომადგენელმა კეირ-გარდიმ წინადადება მისცა მთავრობას, პალატის სხდომა გადაედო, რათა დეპუტატების ყურადღება მიექცია უსაქმოდ დარჩენილ მუშების მდგომარეობისათვის. თავმჯდომარემ უპასუხა მუშების დეპუტატს, რომ მისი წინადადება არ შეიძლება მიღებულ იქმნას. კეირ-გარდიმ იმ დღესვე ილაპარაკა გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გამართულ კონცერტზე: „ნახევარი მილიონი მუშა უსაქმოდ არის დარჩენილი; ქალები და ბავშვები სიცივისა და შიმშილისაგან იტანჯებიან და პალატა კი დროს ვერ ჰპოულობს, რომ ყურადღება მიაქციოს მას. ეს ადვილი გასაგებია: მისთვის მხოლოდ ის არის ძვირფასი, რაც მდიდრების ინტერესს შეეხება; და ეს ასე იქნება ყოველთვის, სანამ ხალხი ჰგზავნის პარლამენტში ფინანსისტებსა და ლენდლორდებს და არა თავის ნამდვილ წარმომადგენლებს“-ო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ-წინ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** მეორე ჯგუფის მსესხებელთა საზოგადო კრება იყო, 24 რწმუნებული უნდა აერჩიათ. თავმჯდომარეობდა ი. ა. თაიროვი. დიდი კამათი გამოიწვია ვექილობის მიცემამ. ერთ მსესხებელს ერთს დღეს ორი კაცისათვის მიეცა ვექილობა და ამაზე ჰქონდა კრებას დიდი სჯა-ბაასი, რომელიც თავმჯდომარემ იმით დააბოლოვა, რომ პირველობა იმ ვექილობას დაუთმო, რომელიც გამგეობის მიერ დანიშნულს ვადაზე იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორე ვექილობა კრების დღეს გამოაცხადა პატრონმა.

რწმუნებულობაზე კენჭის ჩამოტარება მოისურვა 44 კაცმა. ამრჩეველთა რიცხვი ასზე მეტი იყო, რომელთაც სულ 165 ხმა ჰქონდათ. არჩეულ იქმნა შემდეგი 24 კაცი: ავთანდილოვი მ. ზ. (111), ალიხანოვი ი. მ. (100), ალიხანოვი ი. ს. (92), ბებუთოვი თავ. ვ. გ. (84), ბებუთოვი თავ. ი. მ. (102), ენიკოლოფოვი ს. მ. (92), იოიცპუხოვი ა. ტ. (131), კირაკოსოვი გ. გ. (90), კანდურალოვი ვ. გ. (104), კოჩაევი ნ. პ. (101), მამიკონოვი ა. გ. (89), ორბელი ა. ი. (113), პარუნ-სარქისოვი ა. ე. (90), ფირალოვი ა. ს. (96), ფრიდონოვი ა. თ. (120), პულინოვი დ. მ. (97), სულხანოვი ი. ა. (102), სიდამონოვ-ერისთავი თავ. ზ. ნ. (87), ტიგრანოვი ლ. თ. (96), თუმანოვი თავ. ვ. მ. (105), ხატისოვი ა. ი. (107), შიმანოვსკი თ. ა. (115), იარალოვი გ. ზ. (109) და ბეკზადოვი ა. ს. ოცი კაცი გაუშავეს; ამათ რიცხვში მოჰხვდნენ: ბაბოვი ა. ს., ბუდაღოვ-ბაღდასაროვი ა. ს., არღუთინსკი-დოლგორუკოვი თა. პ. მ., მელიქ-ბეგლაროვი ი. ა., მირზოევი ს. ზ., ვართანოვი ა. ი. და სხვანი.

◆ 8 დეკემბერს **კრება ჰქონდათ ტფილისის ხელოსანთა დეპუტატებს.** კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება ხელოსანთა მოურავის კარაპეტ სერობიანცის ორ უკანასკნელ წლის მოქმედების შესახებ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, სერობიანცს გაუფლანგავს საზოგადოებისა 925 მანეთამდე. კრებამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს სერობიანცს სამის დღის განმავლობაში გადაიხადოს ეს ფული. თუ ვინიცობაა სერობიანცმა ფული არ გადაიხადა, დაევალოს მოურავს რაფაილოვს შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე, რომ სერობიანცს საზოგადოების ეს ფული გადახდეს ადმინისტრატიულის წესით. კრებამ ამასთანავე გადასწყვიტა ის 283 მან., რომელიც სერობიანცმა შეაგროვა ახალციხეში პუშკინის ძეგლის დასადგმელად, დანიშნულებისამებრ არ გაიგზავნოს და თვითონ მოიხმაროს თავის საჭიროებათათვის. შემდეგ ზოგმა დეპუტატმა ლაპარაკი ჩამოაგდო, თავმჯდომარეს წარმოუდგინა ცნობები სერობიანცის წინანდელ წლების მოქმედების შესახებ. საქმე სიაში არ არის შეტანილი და შემდეგ განვიხილოთო, სთქვა თავმჯდომარემ. ამან ისეთი ხმაურობა ასტეხა, რომ თავმჯდომარემ კრება დახურა.

◆ ტფ. პოლიცმეისტერს მიუწერია ბოქაულებისათვის: გამოუცხადეთ **ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს** ერთის თვის განმავლობაში გაათავონ იმ რიგის ვაჭრობა, რომელიც იმათს ხელობას არ შეადგენსო. როგორც მკითხველებმა იციან, პოლიცია თხოულობს, ებრაელებმა მხოლოდ იმ ნაწარმოებით ივაჭრონ, რაც საკუთრივ იმათს ხელს გაუკეთებია, უცხო ნაწარმოებით ვაჭრობა კი არ შეუძლიათო.

ერთი თვე მიუცია პოლიცმეისტერს იმ ებრაელებისათვის, რომელნიც ამ მოთხოვნილებას არ ეთანხმებიან, რომ თავიანთი საქმე მოაწესრიგონ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მოუთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, დაუჩქარეთ იმ პროექტის შესახებ ცნობები მოგვცეთ, რომელიც **სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთებას შეეხება.**

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ქიათურის შავი-ქვის რამდენმამე მრეწველმა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას დეპეშითა სთხოვა, რომ შავი ქვის პარკში ახალი ვაგონები გაეგზავნათ, რადგანაც, ჯარის გადაზიდვის გამო, ვაგონები დაჭერილია და მრეწველნი გაჭირვებაში არიან. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და ბრძანება გასცა რამდენიმე ახალი ვაგონი გაიგზავნოს შავის ქვისათვის.

◆ **ერევნის შტოსთვის**, რომელიც 6 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობას გადაეცა, ბილეთები მგზავრთათვის ჯერ მზად არ არის. ამიტომ ბილეთების დამზადებამდე მგზავრებს აძლევენ კვიტანციებს და ბლანკებს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** კვირას, 8 დეკემბერს, კარაკლისიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ ახლად არჩეულმა **საფინანსო კომისიამ** თავმჯდომარედ აირჩია ა. ს. ბაბოვი.

◆ გამგეობის ანგარიშის გამრჩევმა **სარევიზიო კომისიამ** თავმჯდომარედ აირჩია პ. ი. კოეინი.

◆ **ცეცხლისაგან დამზღვევ ქალაქის საურთიერთო საზოგადოების** გამგეობას საზოგადოების წევრთა მომავალ მორიგ კრებაზე უნდა აღძრას იმის შესახებ სათხოვარი, რომ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართოს ამ საზოგადოებას, შენობების გარდა, ქონება და საქონელიც მიიღოს ცეცხლისაგან დასაზღვევად.

◆ ტფილისის გუბერნატორი დაჰკითხებია ყველა ქალაქის სამმართველოს გუბერნიაში: შესაძლებელია თუ არა შესწორდეს **ოჯახობითი სიები**, რომელნიც სამხედრო სავალდებულო გადასახადისათვის სახმარებელნიარი, ან რამდენი ხარჯი დასჭირდება სიების შესწორებასო. ქალაქის სამმართველოთა უმრავლესობას სიების შესწორება შეუძლებლად უცვნია, სხვათა შორის ტფილისის გამგეობასაც და, აი, რა საბუთით: ეხლანდელი სიები 1886 წელს შედგენილია და მას აქეთ იმდენი დამატებითი ცნობებია იქ შეტანილი, რომ ადგილიც აღარ არის, დაინიშნოს ცნობა. ეს სიები 1906 წლის იქით გამოსადეგი აღარ იქმნება და ამ დროისათვის უთუოდ ახალი სიები იქმნება შედგენილი და ეს საქმე საზოგადო პოლიციას უნდა მიენდოს აღწეროს მთელი ქალაქის ოჯახები, ხელმძღვანელობა კი ცალკე კომისიას მიენდოს, რომელიც ქალაქისა, ვაჭრებისა და მეშჩანთა გამგეობების წარმომადგენელთაგან იქმნეს შედგენილი. ამას გარდა ეხლანდელი ფორმაც უნდა შეიცვალოსო. ამ სიების შესადგენი ხარჯები ხაზინამ უნდა მიიღოს თავის თავზე, რაგან ეს საქმე სახელმწიფო საჭიროებათა საქმეაო.

◆ **ვერის ხიდის იჯარა** ჯერ კიდევ არ დასრულებულა. როგორც ვიცით, ყველაზე მეტი—20,505 მან. შეაძლია ქალაქს ახნაზაროვმა. ქალაქის გამგეობამ იჯარა იმაზე დაამტკიცა. მაგრამ გუშინ იოსავამ მოხსენება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და აცნობა, რომ 21,000 მან. გადავიხდიო. გამგეობა როგორც ამ განცხადებას, ისე თავის დადგენილებას საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

◆ საჭილაოს სკოლის გამგე, მღვდელი გლ. ელიავა გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულითადს მადლობას ვუცხადებ საჭილაოს (სენაკის მაზრა) საზოგადოებას, დიმიტრი ნიჟარაძის ასულს ელისაბედს და მასწავლებელს შუშანიკა კალდავას ასულს, რომელთაც 24 ნოემბერს გამართეს საცეკვაო საღამო საჭილაოს სამრევლო საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წმინდა შემოსავალი ოცდა-რვა მანეთი და ცხრა შაური უკვე გადმომცეს, როგორც სკოლის გამგეს.“

◆ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრების კირილე ბარაბაშჩევისა, რომელსაც თავის ცოლის და შვილის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. სასამართლომ გაამართლა ბარაბაშჩევი.

◆ ნოემბრის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოში დაუკლავთ 6842 მსხვილი რქოსანი საქონელი, ხბო 506, ღორი 4826, ცხვარი 16583 და ცხენი 2. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ნება არ მიეცათ 2 ხარის, 1 ძროხის, 1 კამეჩის და რამდენიმე წვრილი პირუტყვის დაკვლისა.

◆ გუშინ-წინ საღამოს ბარიატინსკის ქუჩით ვინმე ვეხელაშვილი მიდიოდა. უცბად ვიღაც გამოეკიდა, ხელიდან რიდიკული გამოჰგლიჯა და ლორის-მელიქოვის ქუჩით გაიქცა. პოლიციელი დაეწია, მაგრამ მუშტი გაარტყა, წაიქცია და გზას გაუდგა. მერე ცხენოსანი პოლიციელი დაეწია და შეიპყრო. იგი სამსახურიდან გამოქცეული ჯარის კაცი აღმოჩნდა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ პეტერბურგიდან დაბრუნდნენ სადგილ-მამულო ბანკის საქმეების შესახებ საშუამდგომლოდ წასულ დეპუტაციის წევრნი: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ს. ნ. ლორთქიფანიძე და სადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე ბ-ნი მელნიკოვი.

◆ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის 1-ლმა სექციამ 2 და 3 დეკემბრის სხდომებზე განიხილა სამი მოხსენება ქუთაისის გუბერნიაში სახალხო პირველ-დაწყებით სწავლის საქმის შესახებ. სექციამ, სხვათა შორის, დასკვნა შემდეგი: 1) სახალხო სკოლის ნაყოფიერ მოქმედებისათვის საჭიროა საგნების სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებდეს; 2) რუსული ენა დედა-ენის შემწეობით უნდა იქნას შესწავლილი და არა მუნჯურის მეთოდით და 3) სოფლის მასწავლებელთ ჯამაგირი უნდა მოემატოთ. ეს მოხსენებანი და და დასკვნანი წარედგინება საგუბერნიო კომიტეტს.

გარდა ამ მოხსენებათა იმავე სექციამ 29 და 30 ნოემბერს, 2 და 3 დეკემბერს მოისმინა მოხსენებანი: ვ. ა. სტაროსელსკისა—გლეხობის მეურნეობის შესახებ, ბ. დოლგუშინისა—სახალხო განათლების შესახებ, ბ. ბ. ვუჩინოსა და ლიუბენეცკისა—სამეურნეო ცოდნათა გავრცელების შესახებ და ბ. ოხოტინისა—საქონლის მოვლა-მოშენების შესახებ.

საეკონომიო სექციის თავმჯდომარეობაზე ბ. გრიგორაშმა უარი განაცხადა; მის მაგიერ თავმჯდომარედ აირჩიეს თავ. პ. ა. თუმანიშვილი.

◆ პარასკევს, საღამოს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ხანჯლით საკმაოდ და მძიმედ დასჭრა თავში თამბაქოს ქარხნის პატრონი სტეფანე ფირალოვი. როგორც ამბობენ, დამჭრელი ქარხნიდან დათხოვნილი მუშა ყოფილა, რომელიც შეპარვია ფირალოვს მაღაზიაში, რომ მუცელში ჩაეკრა ხანჯალი, მაგრამ ამ დროს ხალხი შემოესწრო და მხოლოდ თავში დაჭრა მოუსწრია. ბოროტ-მოქმედს ხალხი დაედევნა, მაგრამ ამოღებულ ხანჯალს სიახლოვეს ვერავინ მიეკარა. პოლიცია არსად სჩანდა, დაჭრილი თოფურიას საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ჭრილობა საშიში არ უნდა იყოს.

◆ მთელის თვის განმავლობაში გადაუღებელ წვიმების შემდეგ ქუთაისში თოვა დაიწყო და ყინვები დაიჭირა. შეშა და სხვა სანოვაგე ძლიერ გაძვირდა.

პრესსა

„კვალის“ უკანასკნელ №-ში ვკითხულობთ: „ცნობის ფურცელი“ შესწყრა „ივერიას“ იმ ლანძღვისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა უძღვნა პირველს. მართა [illegible] არის და [illegible], მას სრულიად გაუწყვეტია ყოველივე კავშირი „ივერიასთან“, ახლა რომ მისი სასახელო [illegible] კი აღარ იქნება ჩვენი რედაქციაში—აცხადებს „ცნ. ფურცელი“. ეს კი, მე მგონია, მოცდენილი ლიტერატურულ ზრდის [illegible] და ბრძოლის ტაქტიკას. თუ თქვენ ვინმეს წინააღმდეგი ხართ, თუ არ მოგწონთ რომელიმე

ფელეტონი

ქუთათური მოღვაწეობა

(წერილი მეგობართან)

(დასასრული*)

რამდენი რა მოგიყვე, ჩემო მეგობარო! ყველაფერში პატარა კაცები ვართ, ყველაფერში დაუდევარი და უხალისო! თვით ახალგაზდებში, რომელთაც დიდი ხანი არ არის მეცნიერების ტაძარი დაუტოვებიათ, გულწრფელობა გამქრალა, მისუსტებულა ხალისი მოქმედებისა, შეფერხებულა სულიერი სიცოცხლე!

ჩვენი ახალგაზდობა ან ფუქსავატია და უიდეალო, ან ადრე მოხუცებული, ურწმუნო და დაღლილი... და ორივე შემთხვევაში მათ აკლიათ მოქალაქობრივი გამბედაობა, რაიც ასე მიუცილებლად საჭიროა საზოგადოებაში კეთილ განწყობილების განსამტკიცებლად.

რამდენი ახალგაზდა ნასწავლი ქალი და კაცია ქუთაისში და ერთი რამ სერიოზული სალიტერატურო წრე ვერ დაგვიარსებია! თუ ოდესმე ვინმემ სცადა ასეთი წრის დაარსება, აქაურ დიპლომიან ყმაწვილებს სიზარმაცე, ცოცხალმკვდარობა, აპატია და უნდობლობა ნებას არ აძლევს მონაწილეობა მიიღონ ასეთი წრის მეცადინეობაში!.. მთელი მათი ფილოსოფია ის არის, რომ იოხუნჯონ იმ ქალ-ვაჟთა შესახებ, რომელთაც სურვილი აქვთ ხანდახან უაზრო ლაყბობის მაგიერ სერიოზულ კითხვებზედაც იბაასონ და ასე გონიერად გაატარონ დრო. **)

რაკი აქ სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა, ორიოდე სიტყვა იმათ შესახებაც უნდა მოგახსენო.—არც ერთი ქვეყანა, მგონია, არა ზრდის ასეთს მშვენიერ ქალებს, როგორც საქართველო და უნდა დავუმატო, რომ მათ გარეგან მშვენიერებასთან ერთად სულიერი მშვენიერებაც თან დაყოლილი აქვთ! სწავლა-აღზრდის წეს-რიგი ამახინჯებს მათ ბუნებას, მაგრამ თვით ამ დამახინჯებულ არსებაში გამოსჭვივის მაღალი სული! ჩვენი ქალი გრძნობიერია, გონება მახვილი, მიმზიდველი! იგი მზად არის თავი გასწიროს საქვეყნო საქმისათვის, თუ კი ასეთი საქმე გამოჩნდება, თუ კი მართლა საქმე იქნება და არა ჩხირკედელაობა! ვიმეორებ, მათ აქვთ წრფელი გული, აქვთ გაბედულება, მაგრამ არა აქვთ საკმაო მომზადება და სამოღვაწეო ასპარეზი მათი შევიწროებულია და საკვირველი არ არის, თუ ისინი ცხოვრებაში ღრმა კვალს ვერ აჩენენ! ამისათვის საჭიროა გამბედაობა და მოქმედების ხალისი მამა-კაცთა, რომელთა სარბიელი უფრო ვრცელია, რომელნიც მეტის ცოდნით და უფლებებით არიან აღჭურვილნი! ჩვენ კი ქალებს ვერავითარ გამოცდილებას ვერ ვაძლევთ; ჩვენ პაიკები ვართ ყოვლად სუსტნი და უმნიშვნელო, არამგამა და უიდეალო და ასეთ ვაჟკაცებს, რაღა თქმა უნდა, არ შეუძლიათ, სამოქმედოთ წააქეზონ ქალები! — ჩვენ მათ ვუკარგავთ ყოველ ხალისს, ვესუსტებით ეროვნული თვით-ცნობიერებას. ქალთა უმეტესი ნაწილი მეცადინეობა მიმართულია ახალთაობის აღზრდაზე. ქუთაისში უმეტესი ნაწილი მასწავლებლებისა ქალები არიან; არის ორი პროგიმნაზია, ქალთა მიერ დაარსებული, ორი საკვირაო სკოლა, ქალთაგანვე დაარსებული, სადაც საკმაო რიცხვი ქალ-ვაჟებისა სწავლობს წერა-კითხვას, ანგარიშს და სხვას.

ქალებისავე დაარსებულია გაბრიელის ბიბლიოთეკა და სამკითხველო და აგრეთვე სახალხო თეატრი, რომელსაც ეგზომ დიდი გავლენა აქვს მშრომელ ხალხის გონთ-ცნობიერებასა და მისი სიცოცხლის გამშვენიერებაზე... ქუმანიტატი, ფრიად დიდი ღვაწლი მიუძღვისთ ქალებს ყველგან ამაში...

უნდა აღვნიშნო მწუხარებით ერთი გარემოება:

ქალები ჩვენგან ვეღარ ჰპოებენ რაინდებს, გულში ვერ ჰგრძნობენ მაღალ იდეალებს, ვეღარ ვვაჟკაცებენ დიდ საქმეებზე... ახლა აღარავისგან ესმით:

„ბედით ბნელს საყდარს
„რა მიუწვდება გზანი?

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2005

**) შარშან დაარსდა აქ კიდეც ეგრეთ წოდებული „ისტორიული წრე“... ქალები დიდის სიხარულით მიეგებნენ ამ ამბავს და ეტყობოდათ, ემზადებოდნენ კიდეც; წრემ მიმართა ქუთათურ დიპლომიან ყმაწვილებს და სთხოვა მათ მონაწილეობა მიეღოთ წრის მეცადინეობაში და იცი, რა პასუხი მიიღეს წრის წარმომადგენლებმა?—„თქვენ იქ გინდათ ქალიშვილებს ეარშიყოთ და აქაურ ქალიშვილებსაც ძალიან კარგათ ვიცნობთო!“—განა ეს პასუხი საკადრისია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის მიმართულება და ზნეობა, საჭირ ჱ მისი სისტემატიური მხილება, სასტიკი კრიტიკა და ბრძოლა და არა ბრძოლის ველიდან გაქცევა და გაბუტული ბავშვივით გამოცხადება, გაჯავრებული ვარ, ენას არ გცემო. ჯერ ერთი ვიკითხოთ, ვინ მისცა ნება, ზნეობრივი, რომელიმე ორგანოს არ ამხილოს შეუფერებელი აზრები და დამახინჯებული მოქმედება მეორე ორგანოსი, თუ კი ის ამას, რასაკვირველია, ასეთად პოებს? ნუ თუ ეს საზოგადო საქმის სამსახური იქნება და არა უბრალო ჟინის აყოლა? ვიმეორებთ, ბრძოლის მიტოვება ვერაფერი სამსახურია ქვეყნის წინ. ეს გაახარებს უკუღმართათ მოაზრეთ და მეტი არაფერი.

უნდა ვაუწყოთ „კვალს", რომ ვერ გაუგია ჩვენ მიერ დაჭერილი პოზიცია ამ საქმეში და, საზოგადოთ, არ სცოდნია, რას ნიშნავს გაზეთებს შორის ლიტერატურულ ურთიერთობის შეწყვეტა. ეს უკანასკნელი სრულიად არ მოასწავებს „ბრძოლის ველიდან გაქცევას" და ბრძოლის უარყოფას. „ლიტერატურული დამოკიდებულება და ურთიერთობა" არის შემუშავებული გარეგანი ფორმა რედაქციების ერთმანეთის პატივისცემის გამოსახატავად. როდესაც ერთი რედაქცია თავის მოქმედებითა და პოლემიკით მხოლოდ იმის ცდაშია, რომ შეურაცხჰყოს მეორე რედაქცია, გარემოებათა განუხილველად დაამდაბლოს მეორე რედაქციის თანამშრომლების პიროვნება, მაშინ მეორე რედაქცია სწყვეტს მასთან ურთიერთობას, ესე იგი, უარჰყოფს იმ გარეგან ფორმას, რომლითაც გაზეთები ჩვეულებრივ ერთმანეთს პატივისცემას უმტკიცებენ. ეს არის ერთი საშუალებათაგანი პროტესტის გამოსაცხადებლად. ამის შემდეგ მავნე მიმართულებასთან და იდეებთან ბრძოლა უფრო მწვავდება და არა სცხრება, როგორც „კვალს" ჰგონია. რუსეთის პრესსის ისტორიაში ყოფილა ამგვარი მაგალითები, მაგრამ ამით ბრძოლა არ შეწყვეტილა. „კვალი" მეტად აჩქარდა თავის მსჯავრის გამოსათქმელად, თორემ არ დაიწყებდა საყვედურების გამოთქმას და არ დაგვწამებდა „უბრალო ჟინის აყოლას". ჩვენს გაზეთს წინანდებურად ჰსურს **მხოლოდ საზოგადო საქმეს ემსახუროს** და ამიტომ იგი უარს ვერ ჰყოფს სხვა გაზეთების მავნე მიმართულების წინაამდეგ ბრძოლას; იგი მხოლოდ უარჰყოფს მეორე გაზეთთან პირად პოლემიკას, რადგან იმ მეორე გაზეთის თანამშრომლებმა ალვირი წაიშვეს. თუ „კვალმა" დასძლია სიძნელე და ბოლომდის წაიკითხა ჩვენის მოწინააღმდეგე გაზეთის კვირის „მეთაური", იგი დარწმუნდებოდა, რომ იმ რედაქციასთან ჩვენ ვერ დავიჭერთ ვერავითარ კავშირსა და ურთიერთობას. გაზეთი კვლავ შეურაცხგვყოფს, თავის თავის გასამართლებლად რაღაც სოფიზმებს იგონებს და აცხადებს, არაფერი ცუდი არ ჩაიდენიაო. ასეთ ალვირწახსნილთ ჩვენ ვერ ვეკამათებით, რადგან ვერ გავხდით გაზეთს კერძო ანგარიშების გაწმენდის ასპარეზად. გაზეთს სხვა დანიშნულება აქვს და ამ დანიშნულებისათვის ჩვენ არ გვიღალატნია. ტყუილად გვწამებს ამას „კვალი". გაზეთი როგორიც უნდა იყოს იგი, ჰქადაგებს და ავრცელებს სხვა-და-სხვა იდეებს, არის წარმომადგენელი მიმართულებისა, რომელიც თვით ცხოვრებაში არსებობს. მეორე გაზეთი როგორ იტყვის უარს ეომოს იმ იდეებსა და მიმართულებას, რომელიც მავნებლად მიაჩნია?! მას შეუძლია მხოლოდ გაზეთში ხმა არ გასცეს იმათ, ვისაც საზოგადო საქმე კერძო ანგარიშების გასაწმენდათ გაუხდია და ლანძღვა-გინება მართებულ იარაღად მიაჩნია ლიტერატურულ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

საარქეოლოგო საზოგადოების კრება

კვირას, 8 დეკემბერს, კრება ჰქონდა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი ლ. გ. ლოპატინსკი. დაესწრო 20 წევრამდე. ბ-ნმა ლოპატინსკიმ გააცნო დამსწრეთ შინაარსი თავის მოხსენებისა, რომელიც ამას წინად წაუკითხავს ხარკოვში არქეოლოგთა კრებაზედ. სხვათა შორის, ბ-ნი ლოპატინსკი განმარტავს, რომ რუსულ გვარების დაბოლოვება—სკი (СКІЙ) წარმოსდგა მეგრულის სიტყვის „სქუა"-სგან, რაც ნიშნავს შვილს, ხოლო „კო" (მაგ. ხარჩენკო, პასჩენკო და სხვ.) წარმოსდგა ჩერქეზულ სიტყვის „კო"-სგან, რაც აგრეთვე ჰნიშნავს შვილს.

შემდეგ ბ-ნმა ექ. თაყაიშვილმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება მცხეთასთან ნაპოვნ ძველნივთების შესახებ. როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, მცხეთის მახლობლად მიწის თხრის დროს წააწყდნენ სამარხებს, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე ცალი ოქროს ფული, ქანძისთავები და 200 სხვა-და-სხვა ნივთი. მომხსენებელმა სთქვა, ეს ნივთები ეკუთვნის პირველ საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგო. ბ-ნმა თაყაიშვილმა წაიკითხა აგრეთვე მოხსენება იმერეთში ნაპოვნ ნივთების შესახებ.

შემდეგ კრებამ მოისმინა გ. ე. ყასიდიევის მოხსენება საინგილოს ძველ ნაშთების შესახებ. ამ რამდენისამე თვის წინად მომხსენებელს ყასიდიევს ი. ს. სტანიშევსკისთან ერთად საინგილოში დაუთვალიერებია 33 ძველი ტაძარი. ბევრი სხვა ტაძარი ვერ დაუთვალიერებიათ, რადგან ტაძრები ისეთს მიუვალ ხევებშია, რომ მისვლა ძნელია თურმე. სამ ტაძარში—კახსა, ბახთალოსა და ლაგოდეხში უნახავთ ქართულ წარწერებიანი ქვები, რომელთა სურათიც გადმოუღია და კრებასაც აჩვენა. ეკკლესიები ხელოვნურად ყოფილა აგებული: ერთი საყდარი, მაგ. სოფ. ყუმისისა, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ტოლა ყოფილა. წარწერანი მეტად ძველია და გამოყვანილია ასო-მთავრულით. კრებამ ამ წარწერების წაკითხვა დაავალა ბ-ნ ე. თაყაიშვილს. უფრო შესანიშნავია სოფ. ლაგოდეხს ახლო ნახულ ქვის წარწერა; ეს ქვა გადაუტანიათ ლაგოდეხში და მიუბარებიათ იქ დასაცავად, რომ შემდეგ სურათი გადაიღონ და გაიგონ შინაარსი ქართულ წარწერისა.

ბოლოს მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა შუქვინმა დაღესტნის უკანასკნელ მფლობელის შამილის ცხოვრების შესახებ. შამილის შესახებ საყურადღებო ცნობები მიუწოდებია მომხსენებლისათვის ერთს მის ნაცნობს, რომელიც პირადად მნახველი ყოფილა შამილისა. კრებამ, მოისმინა რა ყველა ეს მოხსენებანი, გადასწყვიტა დაბეჭდოს თავის გამოცემაში. I ტომი ახლოთ მაგაზში გამოვა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა კვლავ განაგრძობს თავის უმოქმედობას რეპერტუარის შესახებ და, თითქოს აღთქმა დაუდვიაო, დღიდან დღე იმეორებს ძველსა და ძველის-ძველს პიესებს. „ციმბირელი", უეჭველია, სახალხო პიესაა, მაგრამ ვინ არის ისეთი, რომ იგი ორჯერ-სამჯერ არ ენახოს; ამ პიესას წელიწადში რამდენჯერმე ადგენენ ტფილისის სახალხო თეატრებში და სულ მეტია, დრამატიულმა საზოგადოებამაც ეგევე იმეოროს. დრამატიული საზოგადოება წინ უნდა მიუძღვოდეს სახალხო თეატრებს, განსაკუთრებით უნდა აძლევდეს მათ რეპერტუარს, ყოველ წელიწადს უნდა მიაწოდოს ახალი პიესები, თორემ ასე ძველი პიესები თუ იმეორა, შორს ვერ წავა და სრულებით ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. კვირაობით ბევრი ესწრება წარმოდგენებს ხალხი, განსაკუთრებით ბევრია მოსწავლე ახალგაზდობა, ესწრება იმიტომ, რომ გონებრივის საზრდოს მოთხოვნილებამ იმატა და თეატრის გარდა, დღეს ჩვენ სხვა არავითარი გონებრივი გასართობი ადგილი არ მოგვეპოვება,—ამიტომ მით უფრო მძიმე მოვალეობა აწევთ ჩვენს სასცენო მოღვაწეებს.

„ციმბირელი" ჩვენის ცხოვრებიდანაა, უბრალო პიესაა და ჩვენის აქტიორებისათვის ადვილია მისი წარმოდგენა. კვირის წარმოდგენაში ყველანი კარგად თამაშობდნენ, მხოლოდ ერთი ნარგიზა—ქ. გამყრელიძისა იყო ძლიერ სუსტი. უნდა განვიმეოროთ კიდევ, რომ ამ მსახიობს სრულიად ვერ ეხერხება მწუხარებისა და სიხარულის გამოხატვა ვერც ხმით და ვერც სახით. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა სახალხო თეატრის აქტიორი ბ. გოცირიძე, რომელიც დიდის სიხარულით მიიღეს მდაბიო მაყურებლებმა, როგორც თავისი კარგი ნაცნობი. „ციმბირელის" შემდეგ წარმოდგენილ იქმნა ვოდევილი „მოტია".

ბ.

ქუთაისი. პარასკევს, 6 დეკემბერს, გ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და ქქ.-ნების ეფემია მესხისა და ნინო ჩხეიძის ასულთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა მელოდრამა „მონასტრის ზღუდეთა შორის". ცუდის ამინდის მიუხედავად, წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. თუმცა ბევრი ხელის შემშლელი ჰქონდათ, მაგრამ ქ-ნებმა ეფ. მესხმა (და ტერეზა) და ნ. ჩხეიძემ (ადელინა, გუსტავ ემბოლის ქალი) კარგად შეასრულეს თავიანთი როლები, თუმცა ისე ვერა, როგორც მათის ნიჭისაგან მოსალოდნელი იყო: იმათს თამაშში ყველგან ვერ იხატებოდა საჭირო გრძნობა. მეხუთე მოქმედებაში, მაგალითად, ის დრამატიული სცენა, სადაც და ტერეზას ვინაობას გაიგებენ და ადელინა კივილით მიჰვარდება გულ-წასულ დედას, საკმაოდ ფერ ნაკლული იყო. სამაგიეროდ უნაკლულოდ ჩაიარა იმ ცერემონიამ, სადაც ადელინა ეთხოვება ამ სოფლიურ ცხოვრებას და მონასტრის ზღუდეთ აფარებს თავს. და ჟუზეპას როლში მშვენიერი იყო ქ-ნი ივანიძე: ყოველ-იმის სიტყვასა, მიხვრა-მოხვრას და თვალების მოძრაობაში იხატებოდა ცბიერება, გაიძვერაობა და სიფლიდე. ქ-ნმა გივიშვილმაც კარგად შეასრულა მარიამის როლი. რაც შეეხება მამაკაცებს და დანარჩენ მანდილოსნებს, გარდა ქ-ნ მდივნისა და ბ-ნ იმედაშვილისა, რომელთაც არა უშავდათ რა,—ყველანი ხელს უშლიდნენ თამაშს. ერთი მამაკაცი იძახდა: „მე შენი ცოლი უნდა ვიყოვო", მეორე ისე ალაჟუნებდა, რომ სირაქლემასაც აჯობებდა; ნოტარიუსი ბაზილით აფტიქას ნოქარს ჰგავდა; ტეტიდია ისე დარბოდა სცენაზე, რომ მონაზონს კი არა, ერის ქალსაც არ შეეფერებოდა. საზოგადოდ, როლების ცოდნაში თითქმის ყველა კოჭლობდა, რის გამო ზოგიერთ წინადადებას ერთის მაგივრად ორჯერა და სამჯერ ვისმენდით.

დონ ჟუდიანი

სასამართლო

რომანტიული ისტორია და მკვლელობა

(დასასრული)*)

8 დეკემბერს პალატის სხდომა დაიწყო შუადღის 12 საათზე. სხდომის დაწყებისთანავე გამოჰკითხეს ექიმებს მაისურიანცსა და ჩუდნოვსკის. უნდა გაეგოთ ლესკოვის ქალმა თვითონ მოიკლა თავი, თუ ესროლეს რევოლვერი. ექსპერტების აზრით ჭრილობა იმნაირია, რომ ქალს თვით უნდა დაეკრა რევოლვერი გულზე, თუმცა შესაძლებელია სხვასაც ჩაედინა ესა. გამოკითხვას პალატა მოუნდა ერთს საათს. შემდეგ ერთი საათი ილაპარაკა ბრალმდებელმა. სხვათა შორის, სთქვა, რომ რომანოვსკი ქალის მოკვლის დღიდანვე ძალიან საეჭვოდ იქცეოდა. ქალს რომ თავი მოეკლა, რომანოვსკი ეცდებოდა რასმეს დაეწერა ქალისთვის, ექიმთან მაინც გაიქცეოდა. ბრალდებულმა მაზრის უფროსს უთხრა, რომ „იგი მოკლულიაო", ხოლო უფროსის თანაშემწეს—„ლესკოვმა თავი მოიკლაო". როდესაც მზარეული მაზრის უფროსთან ამბის საცნობლად წავიდა, რომანოვსკი უკან გამოუდგა. როდესაც მაზრის უფროსმა სთქვა, წავიდეთ მის ბინაზე, შევიტყოთ რაშია საქმეო, რომანოვსკიმ პროტესტი განაცხადა და გაიქცა. სახლში მისვლისას იკითხა: „როგორ არის საქმე, გამოიდგება თუ არა ქალბატონიო". ქალის დღიურიდან აშკარად სჩანს, როგორ ტანჯვას ითმენდა ლესკოვის ქალი რომანოვსკის ხელში. ერთხელ რომანოვსკიმ ესეც უთხრა: მაგისთვის ხომ იცი ჰკლავენ ადამიანს და მეც ჩავიდენ ამასაო". მკვლელობის შემდეგ რომანოვსკიმ ჰკითხა გამომძიებელს, არის თუ არა რამე საბუთი დანაშაულობისა ჩემს წინააღმდეგაო. შემდეგ ბრალმდებელი მოწმეებს შეეხო და სთქვა, იმათ ჩვენებიდანა სჩანს, რომ ქალი რომანოვსკის მოუკლავსო. ექსპერტებს შორის ბრალდებულმა ყურადღება მიაქცია სამხედრო ექიმების აზრს. ეს ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ლესკოვი მოკლული უნდა იყოს გარეშე კაცისაგანაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ის გარემოება, რომ ქალის კოფთას სამაჯურები თოფის წამლისაგან გარუჯული ჰქონდა. როგორც სჩანს, გულზე მიუფარებია ორივე ხელები, როდესაც რევოლვერი დაუმიზნეს. დასასრულ ბრალმდებელმა განაცხადა, რომ ლესკოვის ქალს იმ დროს მიზეზი არა ჰქონდა თავის მოკვლისაო.

ორი საათი ილაპარაკა რომანოვსკის დამცველმა თ. თ. გრუზენბერგმა, რომელმაც ვრცლად გაარჩია ბრალმდებლის მოსაზრებანი ექსპერტების

იხ. „ცნ. ფურც." № 2007.

„სჯობს საყვარელსა უწყენო
„საქმენი საგმირონი!"

თქმაც აღარ გინდა, რომ მე საშუალო საუკუნოების რაინდებზე არ მოგახსენებ და არც სარკინოზთა ამოხოცვაზე... ყველა ეპოქაში შეიძლება იქნეს ახალ მოთხოვნილებათა შესაფერი რაინდები და საგმირო საქმეები...

ეს მოვლენა (ქალთა გავლენის სისუსტე) მეტად სამწუხარო მოვლენა არის, მაგრამ ერთი კითხვაა გადასაწყვეტი,—ისინი არიან ამ მოვლენაში დამნაშავე, თუ ჩვენი უგულობა, უგრძნობლობა, აპატია და სიზარმაცე, რაც გვიშლის აღფრთოვანებას! მაღალ აზრთათვის გული ჩვენი მკვდარია და ვაშა იმ ქალს, რომელიც ჩვენს ბუნებას გამოაცოცხლებს! ვაშა იმ ქალს, რომელიც მამულს აღუზრდის თავგანწირულ გამბედავ შვილს! ვაშა იმ ქალს, რომელიც ქართველ ვაჟკაცს მოსთხოვს, რომ იგი თავგანწირულად ემსახუროს ერს და მხოლოდ ამ სამსახურისათვის მისცემს მას ჯილდოდ თავის სულსა და გულს!

რასაკვირველია, ისეთს საზოგადოებაში, როგორიც არის ჩვენი საზოგადოება, ეროვნული თვითცნობიერება და თავმოყვარეობა minimum-ამდის არის ჩამოსული! მონა ყოველთვის ცდილობს ძლიერს ასიამოვნოს და ჩვენც ასე ვიქცევით! ჩვენ ვივიწყებთ ჩვენს დედა-ენას!

„ინტელლიგენცია" ქართულ ენაზე ვეღარ ლაპარაკობს ან აღარ ლაპარაკობს! არა-„ინტელლიგენცია" უცხო ენაზე ვერ ლაპარაკობს! პირველს დავიწყნია დედა-ენა, მეორეს ვერ შეუსწავლია უცხო ენა, და ხალხის ამ ორ ნაწილს ხშირათ ერთმანერთის არა ესმის-რა!—ნუთუ იმიტომ გვზრდის ხალხი, რომ სულიერათ ჩამოვშორდეთ მას და მათი გულის-თქმანი და გაჭირვებანი ჩვენ ვერ გავიგოთ და ჩვენი ფიქრი და განზრახვანი მას ვეღარ გავაგებინოთ! განა შესაძლებელია ასეთ ანორმალ მდგომარეობაში მყოფი ერის წინსვლა? საჭიროა მთელი ხალხის შეთანხმებული მუშაობა და შეიძლება კი შეთანხმებაზე ლაპარაკი იქ, იმ ნაწილთა შორის, რომელთაც საერთო, სამშობლო ენა არ აერთებს!? ყოველი მტრობა და არეულობა არის შედეგი ერთმანეთის გაუგებრობისა! ამ გაუგებრობის მიზეზნი კი ისინი არიან, ვინც ხალხს დედა-ენაზე ველარ ელაპარაკებიან!—ხალხის ინტერესები მოითხოვენ დედა-ენის არსებობას და განვითარებას და „ინტელიგენციის" მოვალეობაა გაამტკიცოს და გაამდიდროს ეს ენა!

სადაც ქართულს ასწავლიან, იქ ჩვენმა ბავშვებმა ქართული უნდა ისწავლონ ისეთისავე გულმოდგინებით, როგორც სხვა სავალდებულო საგნები; სადაც ქართული ენა სავალდებულო არ არი, იქ ბავში თავისუფლებას არჩევს და არა სწავლობს მას; მაგრამ მშობლების, ჭირისუფლების და ნაცნობ-ნათესავების მოვალეობაა ჩააგონონ ბავშს, რომ მიუცილებლად საჭიროა ქართულის სწავლა, რადგან დედა-ენაა საძირკველი ყოველი ცოდნისა და „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია". ჩვენ ასე არ ვიქცევით, და როგორც გვაუწყა უკვე „ცნობის ფურცელმა", ქართველ მოსწავლეთა უმეტესობა ქართულ ენას არა სწავლობს!..

მრავალ ენათა შორის, ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობს ის ხალხი, რომელშიაც ჩვენ დავიბადეთ, რომელმაც თავისი ათასწლობით შემუშავებული თვისებები გადმოგვცა, რომელმაც თავისი ოფლით, ტანჯვით გაგვზარდა, ამ ხალხს უნდა ვემსახუროთ, მასთან ვიყოთ ჭირსა და ლხინში, მას უნდა ვასწავლოთ და ვესაუბროთ მისთვის გასაგებ ენაზე, ამისათვის კი საჭიროა ჩვენ ვიცოდეთ კარგათ მისი ენა, ჩვენი დედა-ენა, ქართული ენა...

ქუთაისში და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში (ამბობენ, აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა უარეს მდგომარეობაში არისო!) ქართულის არ ცოდნა თითქმის „ბონტონობად" არის მიჩნეული და ყველგან, არის თუ არა საჭირო, უცხო ენაზე ვლაპარაკობთ და გვავიწყდება კი, რომ ქართული ენის უარ-ყოფით ან მივიწყებით ჩვენ ჩავდივართ საზიზღარ ბოროტ-მოქმედებას და ვმცირდებით ყოველი სალი ჭკუის ადამიანის თვალში!..

ასე დაცემული ვართ, ჩემო მეგობარო, ასე დაგალახავებული, დამახინჯებული და რაღათ გიკვირს, რომ ჩვენში აღარ მოიპოვება არც მეგობრობა, არც სიყვარული უანგარო და ცაებრ სპეტაკი!..

იყავ მშვიდობით, მეგობარო! შემდეგ წერილში გაცნობებ ჩვენს „შინაურ" ამბებსაც.

დავშთები მაინც მარად შენი მეგობარი **ი—ნ.**

შესახებ. აღნიშნა მეცნიერ ქირურგთა გამოკვლევანი, რომ თავის მკვლელნი უფრო ხშირად გულსა ან საფეთქელში ისვრიან ხოლმე რევოლვერს. შემდეგ შეეხო მოწმეთა ჩვენებას და სთქვა, რომანოვსკის საეჭვო მოქმედება აიხსნება მისის მარტოობით, რადგანაც არ გამოუჩნდა თანამგრძნობელიო. დასასრულ ვრცლად დაახასიათა გრუზენბერგმა დესკოვის ქალი, რომელიც გატაცებული იყო იმ აზრით, რომ რაიმე სამსახური გაეწია საზოგადოებისათვის. შემდეგში იმედები გაუცრუვდა, იმისი გატაცება საზოგადოებისადმი სამსახურით შემოიფარგლა ოჯახის მოთხოვნილებით, შვილების აღზრდის საჭიროებით. ამას დაერთო რომანოვსკის ყოფა-ქცევა ლოთობა.

დამცველმა ითხოვა გაემართლებინათ რომანოვსკი.

თავის სიტყვაში რომანოვსკიმ აღნიშნა: ჩემმა დამცველმა ისეთი ნიჭიერი სიტყვა სთქვა და საბუთები და მოსაზრებანი წარმოადგინათ, რომ საქმის არსებით მხარეზე ვერას ვიტყვი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მე ოლქის სასამართლოში უარი განვაცხადე დამცველზედაც და საქმის ვითარების ახსნაზედაც. იმიტომა ვქენი ესა, რომ ჩემი სიმართლე მინდოდა წარმომედგინა პალატისათვის. განა ისეთი გამხეცებული ბუნება შეიძლება, რომ ქალი, რომელიც, ამ დროს ფეხ მძიმედაც იყო, სასიკვდილოდ გამემეტებინა? გაცხადებ, რომ არამც თუ არ მომიკლავს ქალი, ეს აზრი გონებაშიაც არ გამივლია.

მცირე თათბირის შემდეგ, პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, რომანოვსკი უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა კვლავ მიეცეს ნება გაზეთ „ბესსარაბეც-“ს გაზეთში კერძო განცხადებანი ჰბეჭდოს, ხოლო გაზეთ „ოდესსკია ნოვოსტი“-ს თავის გაზეთის ნომრები ჰყიდოს.

რადგან გარეშე საქმეთა მინისტრი ლამზდორფი პეტერბურგიდან წავიდა, სამინისტროს მართვა დაევალა თავ. ობოლენსკი-ნელიდინსკი-მელეცკის.

ვილნა. პსიხიატრიული სამკურნალო სადგურ ვილეიკასთან ღირდა 1.150,000 მან.

ლონდონი. უელსის პრინცესსას ვაჟი ეყოლა.

რუანი. პარეირი დაატუსაღეს.

იალტა. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი უავგუსტოესის შვილებითურთ 8 დეკემბერს დილით, გემით „შტანდარტ“-ით, სებასტოპოლს წაბრძანდნენ.

პორტ-არტური. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულის გამო პარადს დასწრო სამხრეთ მანჯურიის წიან-წინი თავისის ამალით. წარმოსთქვეს სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფლისა და ხელმწიფე მემკვიდრისა. წაიკითხეს ხელმწიფე იმპერატორის ყოვლად მოწყალე საპასუხო დეპეშა სამხედროისა, ფლოტისა და ხალხის სახელობით მილოცვაზე და აღტაცებულის „ურას“ ძახილით მოისმინეს. მუკდენის წიან-წუნმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის იმპერატორისა და ჩინეთის ბოგდიხანს შუა მეგობრობას ორსავე სახელმწიფოს კეთილ-წარმატებისათვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვსო. გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა ბოგდიხანისა და ქვრივ დედოფლის სადღეგრძელოები წარმოსთქვა. ორკესტრმა ჩინეთის ჰიმნი დაუკრა.

მოსკოვი. შეუძლებელ სტუდენტების დასახმარებლად, უნივერსიტეტში სწავლის გარდასახადის შესატანად, ვაჭართა კლუბმა შესწირა ხუთასი თუმანი და ბაზანოვისამ—ორასი თუმანი.

სტოკჰოლმი. სამეცნიერო აკადემიამ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე საპატიო წევრად აირჩია.

სოფია. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების გამო, მთავარმა სადღესასწაულო სადილზე ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ბახმეტევმა მთავრისა და იმის სახლეულობის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

ვენა. სამხედრო მინისტრად პიტრეიხი დაინიშნა.

ბერლინი. გამოცხადებულია, რომ ბრიტანიის სამხედრო გემები 7 დეკემბერიდან შეჰკრავენ ზღვიდან შემდეგ ნავთსადგურებს: ლაგუაირას, კორენეროს, გუანტაპს, კარუმანოს და მდინარე ორინოკოს ჩასართავს. იმ გემებს, რომელნიც ამ განკარგულების გამოცხადებამდე გამოსულან უესტ-ინდიისა თუ ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირის ნავთ-სადგურებიდან გზა მიეცემათ: ოროქლით მავალ გემებს 10 დღე, იალქნიანს—20; სხვა ნავთსადგურებიდან—პირველებს 20 დღე, მეორეთ—40. იმ გემებს, რომელნიც ამ ჟამად იმ ნავთსადგურებშია, რომელნიც შეკრულია, მიეცემათ 15 დღე.

— გაზ. „რაიხს ანცეიგერ“-ში გამოცხადებულია, რომ გერმანიამ შეჰკრა ვენეცუელას ნავთსადგურები პუერტო—კაბელო და მარაჩაიბო.

კონსტანტინეპოლი. მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ კრებაზე იმის სჯა ჰქონდა, რომ ენერგიულად შემოიღონ მაკედონიაში რეფორმები.

მადრიდი. ემბერ დ'ორინიკის სახლობა საფრანგეთის ელჩს ჩააბარეს.

ბერლინი. გაზ. „ნორდ დოიჩე ცაიტუნგ“-ი ამტკიცებს, რომ გერმანია და ინგლისი პრინციპიალად თანახმანი არიან სამედიატორო სამართლით გაარჩიონ სადავო საგანი და მსაჯულადაც რუზველტი აირჩიონ.

პარიზი. დაჭერის დროს ემბერებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ცილის წამების მსხვერპლად შეიქმნენ; ბევრი ძვირფასეულობა უპოვეს, ფული კი ცოტა. მოწადინებული იყვნენ ფანჯრიდან გაქცეულიყვნენ, მაგრამ ვერ მოუხდათ. ჰფიქრობენ, საჭირო ქაღალდები ემბერებმა მიჰმალეს.

ბუდაპეშტი. სეიმმა გამოაცხადა, ღვინოზე დადებული ბაჟი 18 დეკემბრიდან აიხსნებაო.

9 დეკემბერი

პეტერბურგი. მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ უავგუსტოესის შვილებითურთ 8 დეკემბერს კეთილ ინებეს და საიმპერატორო მატარებლით პეტერბურგს წაბრძანდნენ.—7 დეკემბერს არტილერიის ცხენოსანთა ბრიგადამ პატივი სცა თავის უფროსად ნამყოფს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს 70 წლის შესრულებისა გამო მას შემდეგ, რაც დიდი მთავარი მეორე ბატარეის სიაში ჩარიცხულ იქმნა და 50 წლიწადი, რაც ბრიგადის უფროსად დაინიშნა. დილის 11 საათზე დიდი მთავარი მანეჟში მოვიდა. პარაკლისის შემდეგ ბრიგადის უფროსმა ხატი მიართვა. დიდმა მთავარმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ აფიცერთა საკრებულოში საუზმე გაიმართა, უავგუსტოესმა იუბილიარმა წარმოსთქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფლისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და გვარდიის ცხენოსანთა არტილერიისა.

ეკატერინოსლავი. საგუბერნიო ერობამ ერთხმად დაადგინა გამოსცეს ყოველ კვირეული გაზეთი ერობისა და ქალაქის საქმეების გამოსარკვევად.

პარიზი. შესწყვიტეს გამოძიება რიტკევსკის საქმის გამო. რიტკევსკის ამერიკელ ქალის გორის მოკვლა ჰბრალდებოდა.

ახალი-მარგელანი. ანდიჟანსა და იმის გარშემო ყველაფერი საოცრად დაქცეულ-დანგრეულია.

ასხაბადი. რადგანაც ანდიჟანში ქალაქის სადგურის შენობები დაიქცა, ახლად მოსულ მგზავრთათვის სადგურზე არ მოიპოვება არც სადგომი და არც სურსათი.

კოკანდი. დაზარალებულ ანდიჟანელთა სასარგებლოდ აქედან სამჯერ გაიგზავნა თბილი ტანისამოსი და სურსათი.

ვარშავა. „ვარშავსკი დნევნიკი“ იუწყება, რომ იმ მილოცვის საპასუხოდ, რომელიც ხელმწიფე-იმპერატორს 6 დეკემბერს გაეგზავნა, ამ მხრის უფროსმა მიიღო: „გულწრფელად გმადლობთ თქვენ, ვარშავის ოლქის მამაც ჯარს და პოლონეთის სამოქალაქო დაწესებულებებს მილოცვისა და გრძნობების გამოთქმისათვის. ნიკოლოზი“.

ასხაბადი. რკინის გზას მიწის ძვრისაგან უმნიშვნელო ზარალი მოუვიდა. სადგურის დანგრეულ შენობათა თხრას ჯერ არ შესდგომიან. მოსამსახურენი ვაგონებში იმყოფებიან. ავადმყოფნი და დაშავებულნი მარგელანში გაჰგზავნეს. ანდიჟანიდან 10 დეკემბრამდე წასვლა უსასყიდლოდ შეიძლება. მატარებლები სავსეა ქალაქიდან მიმავალ მცხოვრებლებით. მიწა ჯერ კიდევ ირყევა.

მადრიდი. ემბერებს, რომელნიც სხვისის გვარით ცხოვრობდნენ აქ, ჩვენება ჩამოართვა საფრანგეთის ელჩმა და დააპატიმრა. მეფემ მიულოცა ფრეფექტურას. ესპანიის პოლიციამ შემწეობა აღმოუჩინა საფრანგეთისას.

სოფია. მაკედონელნი ემზადებიან გრაფ ლამზდორფის დასახვედრად.

ცეტინიე. მთავარმა ნიკოლოზმა სიტყვა წარმოსთქვა რუსეთისა, სერბიისა და ბულგარიის დიპლომატთა დასწრებით. სიტყვაში რეფორმათა პროგრამა გამოსთქვა: ტახტის მემკვიდრეობის საქმის გაწესრიგება, სამოქალაქო დებულების გადასინჯვა, განსაზღვრა მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს უფლებათა და სამხედრო სასამართლოს საკასაციო სასამართლოდ გადაქმნა. რეფორმას საფუძვლად დემოკრატიული პრინციპი დაედება.

რომი. პალატამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის ანგარიში. 190$^1/_2$ წლის ბიუჯეტით ხარჯს 32500000 გადარჩება. სახელმწიფო კრედიტით სარგებლობს, იმისი ეკონომიური მდგომარეობა განკარგების გზაზეა. პალატის კრება 14 იანვრამდე გადაიდო.

კონსტანტინეპოლი. ხელმწიფე-იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულის გამო სულთანმა და ხელმწიფე-იმპერატორმა ერთმანეთს დეპეშები გაუგზავნეს.

სევასტოპოლი. მათი უდიდებულესობანი შვილებითურთ „შტანდარტით“ სევასტოპოლს მობრძანდნენ. ისტაზე დაესწრნენ წირვას. საუზმის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ საზღვაო კაზარმები დაათვალიერა.

იალტა. დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა სანატორია იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და მოწყალედ ესაუბრა ავადმყოფთ.

ასხაბადი. ანდიჟანის მაზრის სოფ. ასაკში 197 გაჭყლეტილი ადამიანი ნახეს.

პარიზი. სტუდენტთა პატიებამ აქ ყველანი გაახარა. პარიზის გაზეთები ჰბეჭდავენ უმაღლეს ტელეგრამის შინაარსს. „კურ. პოლიტ“. სწერს, ეს პატიება გვიმტკიცებს იმ მამობრივულ გრძნობას, რომლითაც თავის ხალხის მიმართ გამსჭვალულია ახალგაზრდა იმპერატორი, იმ დიდ ჰუმანიურ საქციელთა ინიციატორი, რომელიც ჰააგის კონფერენციაში გამოიხატა. ხელმწიფემ, დაუბრუნა რა სტუდენტები საკუთარ ოჯახებს, ამით მოაგონა მამებს მოვალეობა—თავიდან აცილონ შვილებს მავნე აგიტატორთა გავლენა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ დაუგზავნა ცირკულიარულ დეპეშას პარი მთავარ ინსპექტორს, ვალიებს და სამხედრო უფროსებს; ამ დეპეშით სასტიკად აღკრძალულია ძალმომრეობა და მცხოვრებთა ტანჯვა.

პერა. სალონიკისა, მონასტირისა, კასოვისა, სკუტარისა და იანინის გენერალ-გუბერნატორებმა სასტიკი მოწერილობა მიიღეს, რომ 20 დღის განმავლობაში პასუხის გებაში მისცენ ისინი, ვინც საზოგადო წეს-რიგის დარღვევას მოისურვებენ.

ვაშინგტონი. რუზველტს არავითარი სურვილი არა აქვს შუამავლობა გასწიოს. უკეთესი იქნება საქმე ჰააგის სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს განსახილველად; თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ რუზველტი დასთანხმდება შუამავლობას.

პარიზი. რესპუბლიკანელთა გაზეთები სიხარულით მიეგებნენ ემბერების დაპატიმრებას. ამის შემდეგ ნაციონალისტები ამ საქმეს თავიანთ სასარგებლოდ ვეღარ გამოიყენებენ.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—75)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეთოთხმეტე
გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში —„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., №-101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. №-5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскао дѣтскаго журнала „Джеджили“. (3 3—2)

ცინკოგრაფია
ტფილის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 374.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან-

Всѣ подписавшіеся до 25-го декабря 1902 г. получатъ даромъ журналъ и всѣ приложенія за ноябрь и декабрь 1902 г.

60 №№ 183 прилож.
Открыта подписка на 1903 г. на
иллюстрированный журналъ
домашняго хозяйства и полезныхъ свѣдѣній
4 руб. годъ. Разсрочка.

ХОЗЯЙКА
ПО РАСШИРЕННОЙ ПРОГРАММѢ.

Подписавшіеся до 25-го декабря 1902 г. получатъ:

60 №№ богато иллюстр. журнала. Болѣе 2000 стр. текста. Статьи по всѣмъ вопросамъ домашняго хозяйства. Уходъ за домомъ въ городѣ и деревнѣ.—Порядокъ въ квартирѣ.—Садоводство.—Огородничество.—Полеводство. — Домашнія животныя.—Полезныя искусства въ общедоступномъ примѣненіи.—Полезныя свѣдѣнія, необходимыя въ практической жизни. Безплатные отвѣты Гг. Спеціалистовъ на всѣ вопросы Гг. Подписчиковъ.—Масса иллюстрацій. Отд. № 20 коп.

60 №№ „МАТЬ и ДИТЯ“ Болѣе 1000 стр. текста. Физическое и духовное воспитаніе дѣтей.—Гигіена дѣтскаго возраста. — Какъ ухаживать за здоровымъ и больнымъ ребенкомъ.—Дѣтскія игры и забавы дома и на воздухѣ.—Масса иллюстрацій. Отд. № 20 к.

60 №№ „КУЛИНАРЪ“ Болѣе 1000 стр. текста. Какъ готовить здоровыя и дешевыя кушанья.—Скоромный и постный столъ.—Вегетеріанскій столъ.—Домашніе консервы и заготовки. Кондит. издѣл.—Напитки.—Меню за недѣлю.—Масса иллюстр. Отд. № 20 к.

28 №№ журнала „МОДЫ“. Болѣе 500 стр. текста. — Моды дамскія и дѣтскія. — Прически.—Бѣлье.—Обувь. — Духи и бездѣлушки.—Хроника модъ.—Письма изъ Парижа, Вѣны, Лондона.—Искусство красиво и дешево одѣваться. Отд. № 30 к.

28 №№ журнала „ВЫКРОЙКИ и ВЫШИВКИ“, По новѣйш. парижск., вѣнск. и лондонскимъ образцамъ а равно и по рисунк. русск. художник.—Цѣль этого журнала дать возможность красиво одѣваться домашними средствами. Отд. № 30 к.

7 КНИГЪ богато иллюстрированныхъ КНИГЪ 7
Каждая книжка 150—200 стр. текста обыкн. книжн. формата.
1. РОСКОШНЫЙ АЛЬБОМЪ ВЫШИВОКЪ ВЪ КРАСКАХЪ (отд. стоитъ 2 р. 50 к.).
2. Проф. А. Андреа: Домовѣдѣніе (116 рис.).
3. Н. Вортъ: Кройка и шитье дамскихъ и дѣтскихъ платьевъ (съ атласомъ).
4. Проф. К. Фишеръ: Цвѣтоводство (93 рис.).
5. Проф. Н. Гаутгартъ: Книга чудесъ (118 рис.).
6. И. Мэкензи: Кройка и шитье бѣлья (съ атлас.).
7. А. Фреденборгъ: Самоучитель женскихъ рукодѣлій (съ атласомъ).

Всѣ подписавшіеся послѣ 25-го декабря 1902 г. получатъ только 52 №№ журн. „Хозяйка“.—52 №№ журн. „Мать и Дитя“.—52 №№ журн. „Кулинаръ“.—24 №№ журн. „Моды“.—24 №№ журн. Выкр. и Выш. и 6 книгъ (безъ первой).

Цѣна на годъ съ доставкой и перес. 4 руб. Допускается разсрочка: При подпискѣ 2 р., къ 1-му марта 1 руб. и къ 1-му мая 1 руб. Или первые 8 мѣсяцевъ по 60 коп. Подписка принимается въ Гл. Конт. „Хозяйка“: С.-Петербургъ, Невскій пр., д. 69, и во всѣхъ книжн. магаз.
Отвѣтств. Редакторъ Д-ръ Г. М. Бубисъ.

(3—1)